## საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# განკარგულება №. 132

2016 წლის 4 აგვისტო ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესის" შესაბამისად გათვალისწინებული პრიორიტეტების კომისიისა და კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 27 თებერვლის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესის" შესაბამისად გათვალისწინებული პრიორიტეტების კომისიისა და კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 27 თებერვლის N34 განკარგულებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პრიორიტეტების კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) ბესიკ ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე (პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე);

ბ) იოსებ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

გ) ლევან გორგილაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

დ) ვალერი ზერაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე;

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
შემოსული კორესპონდენცია
№ 4995 „05.08" 2016
ფურცლების რაოდენობა 2

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის უფროსი;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე

## საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# განკარგულება № 134

2016 წლის 4 აგვისტო ქ. ბათუმი

**„სახელმძღვანელო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „სახელმძღვანელო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის N212 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის წესი (დანართი N1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე


შემოსული კორესპონდენცია
№ 4997 05.08 2016
ფურცლების რაოდენობა 64